

აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის დასაბუთების სტანდარტები და
სამართლიანი სასამართლოს უფლება

დავით მგელაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზაზა მეიშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დავით მგელაძე

29.05.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის დასაბუთების სტანდარტებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლების ურთიერთმიმართების საკითხს. აღკვეთის ღონისძიებათაგან პატიმრობა ყველაზე მკაცრია. იგი უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენება, რადგან პატიმრობა ადამიანის ძირითად უფლებებში ინტენსიური ჩარევით ხასიათდება. პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპებიდან გამომდინარე, რაც უფრო ინტენსიურია უფლებებში ჩარევის ხარისხი, მით მეტად საჭიროებს გამოყენებული ღონისძიება დასაბუთებას. მყარი, სათანადო და დამაჯერებელი დასაბუთების არ არსებობა წინააღმდეგობაშია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან. თავის მხრივ, ხსენებული უფლების არაჯეროვანი განხორციელება საზოგადოებაში ნეგატიური აღქმების სათავეა.

ნაშრომში განხილული საკითხების აქტუალობას ქართული სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება ადასტურებს. კვლევის მიზანია საქართველოს კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება. მკითხველს საშუალება ეძლევა, გაეცნოს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტებს. საკითხის სიღრმისეული ანალიზისათვის გამოყენებულია ქართული და უცხოენოვანი აკადემიური ლიტერატურა.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ, ტელეოლოგიურ მეთოდებსა და ე.წ. „Case Study“ მიდგომას, რომელთა დახმარებით გამარტივდა ნაშრომში აღწერილი საკითხების პრაქტიკული მაგალითებით გამყარება. ნაშრომის მიზანია საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული ინფორმაციის შეკრება და მათი მკითხველამდე გასაგებ ენაზე მიტანა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა, დასაბუთების სტანდარტები, სამართლიანი სასამართლოს უფლება, საზოგადოებრივი ნდობის ფაქტორი.

Abstract

This present work examines the interplay between pre-trial detention justification standards and the right to a fair trial. Among preventive measures, detention constitutes the most severe form, applied solely in cases of utmost necessity due to its substantial interference with fundamental human rights. Based on the principles of proportionality and necessity, the more intense the degree of interference with rights, the more robust and well-founded the justification required for its application. The absence of a solid, adequate, and persuasive justification is contrary to the right to a fair trial. In turn, the inadequate implementation of this right serves as a catalyst for negative public perceptions.

The relevance of the issues addressed is underscored by the inconsistency observed within Georgian judicial practice. The study seeks to identify deficiencies in Georgian legislation and jurisprudence, and to propose potential remedies. The reader is given the opportunity to familiarize himself with an overview of both domestic and international judicial precedents. For an in-depth analysis of the topic, the paper draws upon both Georgian and foreign academic literature.

The research employs qualitative, teleological methods as well as the case study approach, which allows for the incorporation of practical examples to substantiate the arguments presented. The goal of the paper is to consolidate information pertinent to the research topic and present it to the readers in understandable language.

Key words: preventive measure, detention, justification standards, right to a fair trial, public trust factor.